№ 19 | 1877—1894 | № 19

ოთხშაბათი, 26 იანვარი 1894

# ივერია

ოთხშაბათი, 26 იანვარი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**მეუღლე ზაზა გლახას ძის ყიფიანისა მარიამ ფურცელაძის ასული და ძენი მისნი მიხეილ და გიორგი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი მეუღლის და დანარჩენნი მამისა თვისისა, სთხოვენ მობრძანდენ ხუთშაბათს, 27 იანვარს, ს. ყიფიანთ უბანს მიცვალებულის დასფლავებაზედ. (2—2)

## „ივერია"

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

**„ივერიის" რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

**მიიღება ხელის მოწერა**

1894 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

## „მოამბე"-ზედ

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში . . . . . . . . . | 10 მან. | 6 მ. | 4 მ. |
| საზღვარ გარეთ . . . . . . . . : . | 13 მან. | 7 მ. | 5 მ. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან., 1 მაისამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ „მოამბის" რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція **„Моамбе"**.

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი ნიკოლოზ ლოლობერიძე

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

დაიბეჭდა და ისყიდება

**НОРМАЛЬНОЕ ПИСЬМО**

იაკობ გოგებაშვილისა

ფასი ერთი აბაზი.

საწყობი წერა-კითხვის მაღაზიაშია. ვინც დაიბარებს ნაღდს ფულზედ ოცს ცალსა, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ორმოცსა—15 კაპ. (3—1)

# ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორის პეტერბურგიდამ დაბრუნებას მოელიან მომავალის თვის გასულს.

*** ქალაქის მოურავს მიუმართავს ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველისათვის და უთხოვნია, რომ შუამდგომელობა დაიწყეთ უმაღლესის მთავრობის წინაშე, რათა ქალაქს დაეთმოს ფასით სიონს ახლო მყოფი ხაზინის ადგილები, დაფასებული 8,160 მანეთად, ისე-კი, რომ ეს ფული ქალაქს ათის წლის განმავლობაში გადახდეს. ეს მამულები იმიტომ უნდა ქალაქს, რომ მისცეს სიონის ახლო მყოფ წვრილ მემამულეთ, რომელთა ადგილები ქუჩას გააქვს, სიონის პირდაპირ, და ამ გვარად ზარალი ეძლევათ. ქალაქს განუზრახავს ამ დაზარალებულთ სხვა ადგილები მისცეს და ამ გვარად შესაძლებელი გაჰხადონ სიონის ქუჩის გაფართოება და გაგანივრება.

*** ჩვენ უკვე გვქონდა ნათქვამი, რომ ამ წელს განზრახვა აქვთ მარტივი საქალაქო დებულება შემოიღონ ამიერ-კავკასიის ქალაქებშიო. ეხლა გაზ. „Нов. Обаз."-ს შეუტყვია, რომ მარტივი საქალაქო დებულება შემოღებული იქნება ტფილისის გუბერნიის ქალაქებ თელავსა, სიღნაღსა, დუშეთში და ახალქალაქში, რომლებშიაც სულ არ იყო აქამდე თვით მმართველობა. გორში, სადაც აქამდე რთული საქალაქო დებულება ჰმოქმედებდა, მარტივი დებულება იქმნება შემოღებული. რაც შეეხება ქ. ახალციხეს, ამ ქალაქში რთული დებულება უნდა შემოიღონ.

*** სატახტო ქალაქების გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო ქონებათა მინისტრთა ა. ს. ერმოლოვი ამ მომავალს ზაფხულს კავკასიაში აპირებს ჩამოსვლას. როგორც ხმა დადის, ამ ჩამოსვლას მინისტრისას დიდი მნიშვნელობა ექმნება და კავშირი აქვს ბევრს ჩვენის ქვეყნისათვის ფრიად შესანიშნავ საგნის გამორკვევასთან.

*** მხნეობა სომეხ მღვდელთა დიდი ხანია ცნობილია და ახალქალაქის სომხობა დიდი მადლობელია დეკანოზის ტერ-გალუსტოვისა. სასურველია, რომ ჩვენმა მოძღვრებმაც მიჰბაძონ ამ მაგალითს საზოგადო საქმისათვის ქონებისა და ფულის დაუზოგველობისას.

*** ქუთაისი: 22 იანვარს შემდეგი უბედური შემთხვევა მოხდა: ერთს ქალს მ. ა. ა—სას ნავთი მოუტავინებია და ბუხარს ახლოს დაუდგავს. პატარა ბავშვს ნავთი იატაკზედ დაუქცევია. ქალს სპიჩკა მიუცია დაღვრილ ნავთისათვის, აიწვისო. ნავთს ისე მოჰკიდებია ცეცხლი, რომ მანდილოსანს შეჰშინებია სახლი არ დამეწვოს და თავის კაბით დაუწყია ქრობა. ახლა ამ საცოდავს მოსდებია ცეცხლი და გამოვარდნილა გარედ, ქუჩაში ყვირილით. ხალხი მიეშველა ქალს, გაუქრო ცეცხლი და, როგორც იყო გადაარჩინა სიკვდილს. ქალი მაინც ძრიელ არის დამწვარი და საეჭვოა მისი მორჩენა.

*** სოფ. ახალქალაქი: (გორის მაზრა) ჩვენის სოფლის დეკანოზმა ტერ-ოჰანეზ ტერ-გალუსტოვმა საკუთარის ხარჯით ააგო სომეხ გრიგორიანთა სარწმუნოების ეკკლესია, რომელიც 5 თებერვალს იქნება კურთხეული. აქ ამ დღისათვის ადგილობრივი სომხები მოელიან ტფილისიდგან სომეხთა არქიელს გეორქ სურენიანცს.

*** ბ-ნს შინაგან საქმეთა მინისტრს, ბ ნ ტფილისის გუბერნატორის წარდგენილებისა თანახმად, დაუმტკიცებია წარსულს წელს ტფილისის მოურავად ამორჩეული პავლე ალექსანდრეს ძე იზმაილოვი ამ თანამდებობაზედ. („Т. Л.")

*** გაზ. „Русская Жизнь" ამბობს, რომ უკვე გადაწყვეტილია სპარსეთის შაჰის ნასრედდინის რუსე-

# ფელეტონი

### მოგზაურობა

სამეურნეო წარმოების შესასწავლად ქუთაისის გუბერნიაში.

(დასასრული *)

შემდეგ გავემგზავრეთ გალის სოფელში და ჩავედით დ. ოქუმს. ოქუმში თუმცა შევკრიბეთ საკმაო ცნობანი, მაგრამ უფრო ბევრი გვესმოდა ქურდობის ამბები. ერთმა აქაურმა მღვდელმა მ. ჩხენკელმა მიამბო, რომ ორის თვის განმავლობაში მომპარესო, კამბეჩი, ცხენი, ორი ხარი და ძროხაო; სახლის ავეჯიც თან წაიყოლესო. სადაც მე, დაბაში მცხოვრებს, რომელსაც გვერდთ მიდგას აქაური მაზრის ბოქაული, ასე მექცევიან ქურდები და ავი კაცები, აქედამ მიხვდებით სხვას რას უზმენ და რა მდგომარეობაში იქმნებიან მხვნელ-მთესველნი მუშაკნი. ამ ქურდობის მიზეზით ნახევარზედ მეტად სცდება მუშაობას ხალხი: ან უნდა მწყესოს თავისი საქონელი და ან, როცა მოპარვენ უნდა უკან სდიოს და ეძებოს დაკარგული. ასე სცდება მუშაობას ხალხი და ეს მომცემიანი მდიდარი მამულ-დედული რჩება შეუმუშავებლად, ხალხი ღარიბდება და გონებრივს განვითარებასაც უკანა რჩება; თუმცა არის აქ სკოლები, მაგრამ აფხაზნი ცოტანი არიან სწავლაში. ვინც არიან, იმათაც ასწავლიან მეგრული ენის საშუალებით; ხოლო მეგრული აფხაზთა ბავშვებმა ან სულ არ იციან აქ, ან ძალიან ნაკლებად ესმით. ქართულ ენას უფრო ეტანებიან და მალეც ითვისებენ. მის შემწეობით მერე რუსულს ენასაც შეგნებითა სწავლობენ და სწავლის განგრძობას ადვილად ახერხებენ. მაგრამ, საუბედუროდ, ახლა აკრძალულია ქართულს ენაზედ საგნების სწავლება. ჯერ აფხაზებში საიმისოდ არ არის ფესვ-გადგმული სურვილი სწავლისა და, რა-კი ასეთი დაბრკოლებაც წინ გადაეღობა სკოლის წარმატებას, ამიტომ სწავლა განათლების საქმე აქ დიდად შეფერხებულია. სწავლა-განათლებას მოკლებული, უსაქმო ახალგაზდობა მალე ილესება იარაღით და პატარაობიდამვე ეჩვევა ავ-კაცობასა და ქურდობას. აქეთ საკმაოდ არიან გონება-წარმატებულნი და სინდისიერნი კაცნი. მათი მოვალეობაა, ჩვენის აზრით, ყოველი ღონე იღონონ და დააშორონ ყმაწვილ-კაცობა ისეთს მავნებელს, ხელობას. სამწუხაროდ, ჩვენში არსად არ არის მცირე წლოვანთა კალონია, თორემ, რომ ვინმე იფიქრებდეს ამისთანა კალონიის დაარსებას, მგონია, დიდს სარგებლობას მოუტანდა ამ ახალგაზდა დამნაშავეთ და მასთან მთელს მხარეს. კალონიაში შეისწავლიდნენ ბავშვები ბაღოსნობას, სევა-და-სხვა გვარ ხელოსნობას და იქიდან გამოსვლის შემდეგ, ნაცვლად ქურდობისა, სასარგებლო საქმეს დაადგებოდნენ. ამ ნაირი კალონიები რუსეთში ბევრგან არის, მაგრამ მე შემიძლია აქ დავასახელო მათ შორის ერთი, რომელიც ასტრახანშია; იქ, ეს ორი წელიწადია, რაც დაარსდა მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის კალონია; დამნაშავე ბავშვს ორის წლით იყვანენ. უვლიან კარგად, ასწავლიან წიგნს, მეურნეობას და სხვა-და-სხვა გვარს ხელოვნებას. ამისთანა დაწესებულება აქეთ მხარესაც მოუტანდა სარგებლობას.

ჩვენ გვითხრეს, რომ აბრეშუმის მოყვანა საათხაზოში იშვიათიაო. გლეხები ჰფიქრობენ, ვითომ ყაჭის ქიას დამოკიდებულება აქვს ჩვენს სალოცავზედ, რომელსაც ჟინის ვეძახითო (ზენასი). ეს ლოცვა ვისაც ჰმართებს, აბრეშუმის მოყვანა არ შეუძლიაო. ამ სალოცავს ლოცულობენ სადმე ამ საგნისათვის აჩენილს ხის ძირში, დაჰკვლენ საკლავს, წავლენ იქ მამაკაცები ჩუმად და ილოცვენ, სჭამენ სალოცავ საკლავს და, რაც გადარჩებათ, იმ ხეზევე ჩამოჰკიდებენ, ოჯახში არ შეუძლიათ მოიტანონ, ანუ ქალებს აჭამონ.

ოქუმიდან ჩვენ გავემგზავრეთ ოჩამჩირისაკენ ბევრგან გადუხვიეთ. ბ-ნი კლინგენი ამოწმებდა მიწის ნიადაგს, მიწის ნიადაგი ამ ადგილებში ყველგან კარგი აღმოჩნდა და მბლომად მომცემი პირნახულისა. მხოლოდ გზა ოქუმიდან ოჩამჩირემდის ღმერთმა შეინახოს, ერთის სიტყვით ჯოჯოხეთია. ეხლა გაჰყავთ გზა მხოლოდ ჯერ მოთავებული არ არის; ხიდები აყრილია; გზაზედ საშინელი ტლაპოეია, ოჩამჩირეს რომ ჩამოველით, მოგვილოცეს, მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით გადარჩენილხართ გზასო. ამ დღეებში აქაურს ოლქის უფროსს უნდოდა დაეთვალიერებინა ეს გზაო, მაგრამ ილორამდი რომ მივიდა, (ოთხის ვერსის მანძილზე) შეეშინდა და უკანვე დაბრუნდაო. ცხადია, სადაც ოლქის უფროსმა ვერ გაჰბედა ამ გზით მგზავრობა, ჩვენ რა პირსაც გამოვივლიდით.

ოჩამჩირეში მიგვიწვია სტუმართმოყვარე ოჯახის შვილმა თეიმურაზ ჩაჩავამ და საკადრისი პატივი გვცა. ჩვენს მასპინძლისას ბევრი ცნობებიც შევკრიბეთ შესახებ ოჩამჩირის მაზრის კულტურისა.

აქედან, მეორე დღის, დილით, გავემგზავრეთ სუხუმისაკენ. ეშერის სოფლამდინ მივდიოდით ზღვის ნაპირად, ეშერაში აუხვიეთ და დავიარეთ ამ სოფელში თ-დი გრიგოლ შერვაშიძის მამული, შევამოწმეთ მიწის ნიადაგი, გავიგეთ აქ მცხოვრებთ მეგრელებისაგან, რას მუშაობენ და რას არა. აქ, ნაცვლად აფხაზებისა, დასახლებულან მეგრელები და კარგადაც სცხოვრობენ: სთესვენ ბლომად სიმინდს, მიწა ძალიან მომცემიანია და მოსავალს, საჭიროს გარდა, კიდევ ბევრს ჰყიდიან აქვე მახლობლად.

ამ სოფლიდან კლდახვარას გავემგზავრეთ, ჩავედით ისევ ზღვის პირებისაკენ სოფელს წყურგიდეს. აქ, წყურგიდეს, ძველი საზაფხულო სამოსახლო ყოფილა თავადის გრ. შერვაშიძისა. აქაურობა ეხლაც იმას ეკუთვნის ირგვლივ ტყეა და პატარა სოფელი აქვე, შერვაშიძის სამოსახლოსთან, არის სკურჩას ნავთსადგური ეს ძველი დიოსკურია არისო;

*) იხ. „ივერია", № 14.

თში ჩამოსვლა ივნისის თვის დამდეგში. ამ მგზავრობის დროს შაჰს განზრახვა აქვს ევროპა მოიაროს, თავისი საყვარელი პრინცი მასსუბ-მირზა-ცირ-ელ-სულტანე ზოგიერთ მეფეთ წარუდგინოს და აგრეთვე განაცხადოს, რომ ტახტის კანონიერ მემკვიდრეთ ვსინჯავ ჩემს სპარსეთის ერის საყვარელს უფროსს შვილს პრინც მუცაფერ-ერ-დინსაო.

## დამაკვირდი

—

გონიერება სათავეა ყოველის კეთილის ღირსებისა.

სტ.-პიერი

**

თუ შენი ცნობა გინდა, სხვათა საქციელს დააკვირდი, თუ სხვისი,—შენს გულში ჩაიხედე.

შილერი

**

უდიდესი ბოროტი მტრისაგან მოყენებული, ის არის, რომ იგი ჩვენს გულს სიძულვილს აჩვევს.

ბუასტი

## ქალაქის საბჭო

—

ორშაბათს, 24 იანვარს, კრება იყო ქალაქის საბჭოსი. მოადგილემ ქალაქის მოურავისამ პ. ა. იზმაილოვმა მიჰმართა კრებას თავისის წინადადებით შესახებ მის უმაღლესობის დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის დანიშვნისა ხელმწიფე იმპერატორის ქალზედ ქსენია ალექსანდრეს ასულზედ. შინაარსი ბ-ნ იზმაილოვის წინადადებისა იყო შემდეგი: მის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის განწყობილობა კავკასიასთან საზოგადოდ და ქალაქ ტფილისთან კერძოდ სამუდამოდ მოსაგონებლი დარჩება ჩვენს მეხსიერებაშიო და ამიტომ ყოველი ბედნიერი დღე მის უმაღლესობის ოჯახისა სასიხარულო და სანეტარო დღეა თვით ჩვენთვისაცაო. ამისთანა კავშირი დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ოჯახსა და ჩვენს შორის გვაძლევს გაბედულობას სიხარულით მივულოცოთ მას ბედნიერება თავის შვილისა. ამიტომ გთხოვთ ნება მომცეთ, რომ დეპეშით გავუგზავნო ჩვენი მილოცვა და უგულითადესი სიხარული მისის შვილის ბედნიერებისა გამოვო. საბჭომ ერთხმად მიიღო წინადადება ბ-ნ იზმაილოვისა.

სხვა საყურადღებო საგანი ამ კრებისა იყო არჩევა საქალაქო გამსესხებელ კასის დირექტორისა და ნიხრი ხორცეულობის შესახებ. დირექტორად ამორჩეულ იქმნა იგივ ბ-ნი კაზარიანცი, რომელიც აქამომდე დირექტორი იყო ამ კასისა. რაიცა შეეხება ნიხრის საქმეს, საბჭოში ჩამოვარდა ხანგრძლივი ბაასი მასზედ, რომ სავაჭრო პოლიცია ქალაქისა ვერ ასრულებს თავის მოვალეობასო, რომ ისევ უნდა განცალკევებულ იქმნენ ხარჯის მკრეფი აგენტები და სავაჭრო პოლიცია, რომელნიც წინანდელმა საბჭომ შეაერთაო, ან იქნება კარგი იყოს სულ მოვსპოთ ნიხრიო, რომელიც იმავ საბჭომ განაახლა 1891 წელსაო. გაცხარებულის ბაასის შემდეგ კრებამ ერთის კაპეიკით მაღლა ასწია ფასი ხორცეულობისა.

## † ნინო კონსტანტინეს ასული მამაცაშვილისა.

12 იანვარს გარდაიცვალა ტფილისში ღრმა მოხუცებული, ძველებური ქართველი მანდილოსანი, მეუღლე გენერალის იოსებ მამაცაშვილისა ნინო კონსტანტინეს ასული. განსვენებული ნინო დაიბადა სოფელ ხიდისთავს და იყო ასული კონსტანტინე მელვინეთ-ხუცესისა, რომელსაც ჰქონდა ძველებური ქართული ოჯახი. მონათლულ იქმნა ნინო ჩვენის პოეტის თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის მიერ. ნინომ გამოიარა ჩვენებური—ძველებური სკოლა, რომელიც გამართული ჰქონდა ტფილისში, მთაწმინდას, ფორაქაანთ მოლოზანს. იქ ასწავლიდნენ ნინოსაც და მის ტოლ-ამხანაგს ქალებსაც წერა-კითხვას, ლოცვებს და ღვთის-სიყვარულს. სხვა-და-სხვა ხელ-საქმესა და ქრა-კერვას ქცევასა და ზრდილობას. უქმე დღეს შემდეგ მისულ შეგირდებს ოსტატი მოლოზანი ხშირად უზომავდა ტუჩებს ბამბის ძაფით, ბევრი ხომ არ გილაპარაკნიათო, ფეხებსაც—ბევრი ხომ არ გიეშმაკნიათო, თითებსა და ფრჩხილებს, ნევსი და ძაფი, ან ხილი რამ ხომ არ მოგიპარავთო.

17 წლისა ნინო მიათხოვეს იოსებ ქრისტეფორეს ძეს მამაცაშვილს. მეორე ყმაწვილი რომ მიეცა, იოსები გაჰგზავნა მთავრობამ რუსეთში დასასჯელად. იმასთან ერთად ექსორიაქმნილ იყვნენ; გრ. ორბელიანი, გიორგი ერისთავი, რაზმაძე, სოლომონ დოდაშვილი, დიმ. ყიფიანი და სხვ.

ქმრის დაბრუნების შემდეგ, ნინოს მიეცა და აღზარდა 6 ვაჟიშვილი და შვიდი ქალი. ამათში მხოლოდ ერთი მოუკვდა პატარაობისასვე უძუძურობით. ხოლო დანარჩენნი ყველანი თავის ძუძუთი აღზარდა და ყველას ბედნიერმა დედ-მამამ მისცა შესაფერი სწავლა-განათლება და ყველანი შესაფერადვე დააბინავა; რადგან მისმა მეუღლემ შემდეგ რუსეთიდამ დაბრუნებისა თავი იჩინა სამსახურში და დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა მიიღო, შეძლება ნებას აძლევდა ცოლ-ქმარს შვილები კარგად აღეზარდათ. დღეს ამ დედ-მამის შთამომავლობა—შვილები და შვილიშვილები 70 სულამდეა.

იოსებ ქრისტეფორეს ძე გარდაიცვალა 1874 წელს და ამ გარემოებამ დიდს მწუხარებაში ჩააგდო ნინო, რომელსაც შემდეგ კიდევ ეწვია უბედურება—ერთს ომში მოუკლეს შვილი დიმიტრი, პოდპოლკოვნიკი არტილერიისა.

ნინო კონსტანტინეს ასული იყო ნამდვილი ტიპი ძველებურის ქართველის დედისა, ქართველის ღვთისმოშიშისა და მოსავის მანდილოსნისა. ოჯახში გამუდმებული შრომა და ჯაფა, ქმარ-შვილის მოვლა, ღვთის ლოცვა და ქართული საერო და საღვთის-მეტყველო წიგნების კითხვა—აი რა იყო მისი უპირველესი და უმთავრესი საქმე. უკანასკნელ დღემდე ნინო კარგად ჰგრძნობდა თავს და მხედველობაც მშვენიერი ჰქონდა.

შობა დღეს ღრმა მოხუცი, 82 წლის მანდილოსანი, წირვის მოსასმენად ანჩისხატის ტაძარში წავიდა, რადგანაც ქართულის წირვა-ლოცვის მოსმენა უყვარდა, იქ გაცივდა და 12 იანვარს მიიცვალა ისე მშვიდად, რომ არც-კი სჯეროდათ მახლობელთ მისი მიცვალება.

შვილებმა დიდის ამბით წაასვენეს თავისი მოხუცი დედა თავიანთ მამაპაპეულს მამულში, სოფ. რუისს და იქ დაასაფლავეს თავის მეუღლის გვერდით თვით ნინოსაგან აშენებულს ნიშში, საცა თვისი სამარხიც წინადვე ჰქონდა დამზადებული.

მიცვალებულის საფლავზედ რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა. სიტყვა სთქვა დეკანოზმა მამა მძინარიშვილმა და რუისის სოფლის მასწავლებელმა ვ. ბიბილაშვილმა. ორატორთ განმარტეს ცხოვრება განსვენებულის ნინოსი და აღნიშნეს მისი ღვაწლი, როგორც საუკეთესო დედისა და ის თვისებანი ხასიათისა, ის ღმობიერება და სათნოება, რომლითაც იყო შემკული ნინო კონსტანტინეს ასული.

შვიდი ახლო-მახლო სოფელი დაესწრო მიცვალებულის დასაფლავებას. უფრო-კი სწუხდა რუისის მდაბიო ხალხი და ქვრივ-ობლები, რომელთაც დიდს შემწეობას აძლევდა განსვენებული.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პატიოსანო ქართველო მანდილოსანო!

## წერილები რედაქციის მიმართ

—

### I

გთხოვთ მიიღოთ ეს ცხრა მანეთი ბ-ნ თ. ჟორდანიას მისის „ქრონიკების“ მეორე ნაწილის დასაბეჭდად, რომელიც მზათაა და, როგორც ვიცით, არ დაჰბეჭდს მას, ვიდრე პირველი არ გაიყიდება. სასურველია, რომ ამ გვარი ფრიად სასარგებლო შრომა მალე დაიბეჭდოს.

არხიმანდრიტი ევსევი
მღ. ალექს. მოლოდინაშვილი
მღ. ვას, კარბელაშვილი

1894 წ.
იანვარი 22.

### II

ოდესის ქართველი სტუდენტობა გულითად მადლობას უცხადებს ბ-ნს ილია ჭავჭავაძეს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ტფილისის და ქუთაისის წიგნთ-გამომცემელ ამხანაგობათ, რომელთაც ჩვენს წიგნთ-საცავისთვის შემოსწირეს შემდეგი წიგნები:

1., ილია ჭავჭავაძემ—ოთხი ტომი თავის თხზულებათა, 2., წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ: 1. საქართველო ანდრია მოციქულის დროს დ. ბაქრაძისა, 2. პონტის მეფე მიტრიდატ დიდი მისივე, 3. საქართველოს ისტორია ვახუშტი ბატონიშვილისა, 4. თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა, 5. გიორგი ბრწყინვალე ნ. ურბნელისა, 6. ისტორიული ნარკვევი ალ. ჭყონიასი, 7. ათაბაგნი ბექა და ელბუღა მისივე, 8, საქართველოს მოკლე ისტორია ჯანაშვილისა, 9. ქართული გრამმატიკა, ჩუბინაშვილისა, 10. ქართული ლექსიკონი საბა ორბელიანისა, 11. ალი ნ. ლომოურისა, 12. ქაჯანა მისივე, 13. გმირისულის ქალი ს. მგალობლიშვილისა, 14. მეველე მისივე, 15. მთიული სოსე მისივე, 16. თავადი იერონიმე მისივე, 17. მოთხრობანი ნინოშვილისა, 18. თხზულებანი ყაზბეგისა მე-IV ტ., 19. თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა მე-II ტ. 20. იგივე მეIV ტ. 21. რუხი მგელი გ. წერეთლისა, 22. ჰამლეტი შექსპირისა, 23. მეფე ლირი მისივე, 24. მაკბეტი მისივე, ბიოგრაფიები ზაქარ ჭიჭინაძისა: 25. დავით ერისთავი, 26. დიმიტრი ბაქრაძე, 27. დიმიტრი ყიფიანი, 28. ვახტანგ ორბელიანი, 29. სოლომონ დოდაშვილი,

---

ებლა ეძახიან ამ ადგილს სკურიას, ან სკურჩას. ამ ზღვის პირებიდან რომ ახვალთ ზევით, გეგონებათ ზღვის ნაპირები განგებ გაშენებული კედლებიაო; ტყისაკენ მშვენიერი ზეგანი უდაბურს მუხისა, წიფლისა და სხვა გვარის ხის ტყეებით. აქ იპოვნით ერთ ადგილას განგებ გამართულს ხეივანს ურთხელისას, (негной), მაგრამ როდის არის ესეები გაშენებული, არავინ არ იცის. როცა ამ ადგილებს კარგად დაათვალიერებ, გგონია, რომ უთუოდ აქ უნდა დიდი ქალაქი ყოფილიყო და მთლად აქაურობას ოდესმე დიდი ხალხი უნდა სხმოდა.

აქედან ჩვენ წავედით კოდორისაკენ, სადაც დაგვხვდა მდინარე კოდორის ხიდთან ეტლი, გამოგზავნილი სუხუმიდან, ჩვენის მგზავრის კოლოდას საკუთარი, ტფილისიდან წამოყვანილი ულაყი ცხენი, რომელმაც გამოიარა ჩვენს მგზავრობაში ხუთას ვერსზე მეტი, შევაბით ეტლის ცხენებთან ერთად და გავსწიეთ სოხუმამდე. ვიდრე სოხუმს მივიდოდით, შევიარეთ დრანდის მონასტერში. ამ მონასტერში ცხოვრობენ რუსის ბერები. მონასტრის ეზოში ბერებს დაურგავთ ზეთის-ხილი ორას ძირამდის, რომელიც გადმოუტანით ათონიდგან და ყველა კარგად ხარობს, მაგრამ ართვინული ზეთისხილი წვრილია და არც იმისთანა ხორციანია, როგორც არის ზეთის-ხილი ურთის მთისა. ეს მონასტერი ძველის-ძველადვეა აგებული საქართველოს მეფეთაგან. დღეს აქ მოდიან რუსეთის ყოველ კუთხიდამ მლოცველები, რჩებიან რამოდენსამე დღეს, ლოცულობენ და ისევ უკანვე ბრუნდებიან თავიანთ სამშობლოში. მონასტერი მაღალ ადგილზეა, რომელსაც მისდევს ზეგანი, სადაც დასახლებულან რუსები, ბოლგარელები და მალდავანები. ყველანი კარგად დასახლებულან და კარგადაც სცხოვრობენ; ამ ზეგანს ჰყოფს პატარა ღელე მდინარე წყალი, მეორე ზეგანიდან, რომელსაც ჰქვიან ფშაფ. აქ დასახლებულან ოდიშიდან გადასახლებული მეგრელები; როცა ასახლებდნენ აქ მეგრელებს, ბოლგარებს დ მალდავანებს, უჩვენებიათ მათთვის საზღვრად ეს პატარა ღელე. გაღმა იმათი იყოს და გამოღმა თქვენიო, მაგრამ მოსვლიათ ჩხუბი გაღმა-გამოღმელებს, უძლევიათ მეგრელებისათვის დრანდაში დასახლებულებს და ეს წყალი და მისი გაღმა სამუშაო ჰალები წაურთმევიათ. ერთმა მეგრელმა მიამბო, რომ საშინელს გაჭირვებაში ვართ უწყლოობის მიზეზითაო; სასმელი წყალი ორის ვერსის მანძილიდან დაგვაქვს და ვერც ჩვენს პირუტყვს გადმოვრეკთ ჩვენისავე სახლების უკან წყალის დასალევადაო; როგორც-კი დაინახვენ ან წყლის დასალევად, ანუ აქვე. საბალახოდ გარეკილს ჩვენს პირუტყვს მალდავანები, მაშინვე იჭერენ და მთელი დღე დამწყვდეულები ჰყავთო. ჩვენ-კი, როცა ეს მიწა მოგვიზომეს დასასახლებლად, საზღვრად გაგვიჩინეს ეს პატარა წყალიო. მისი ჰალებიც გამოღმით ჩვენთვის დასდესო. ვსარგებლობდით კიდეც რამდენიმე წელიწადი და მერე წაგვართვესო; მივმართეთ, სადაც ჯერ არს საჩივრით, მაგრამ სულ ჩივილს უნდებით და ყურადღების მოქცევა, რადგან ჩვენი ენა ვერავისთვის გაგვიგებინებია, არავინ არისო.

ამ ადგილების დათვალიერების შემდეგ გავსწიეთ სოხუმში. აქედან სოხუმამდის მშვენიერი გზა-ტკეცილია თვრამეტი ვერსის მანძილზე და ყველგან მშვენიერი შემუშავებული მამულები ვნახეთ, გზა-ტკეცილის ნაპირები მომეტებულად სასიმინდე მიწებია, ეს მამულები ეკუთვნის თ-დთ შერვაშიძეებს, თ-დს ერისთავს და კიდევ რამდენსამე მემამულეს. აქ გაუკაფავთ ტყეები, ჩასახლებულან აქა-იქ მეგრელები და ღონიერ მიწის საშვუალებით ბლომად მოჰყავთ ქირნახული. სოხუმში ჩავედით ღამის ცხრა საათზე, აქ მიგვიწვია აქაურმა ტყის მცველმა ფონ-დერვიზმა და პატივი გვცა; მეორე დღეს დილით შევუდექით სოხუმის დათვალიერებას. სოხუმს, ამ უკანასკნელ ომიანობის დროს ერთიანად განადგურებულ ქალაქს, ეხლა მიუღია თვისი უწინდელი სახე, გაუშენებიათ ან შეუკეთებით მშვენიერი სახლები, დუქნები და თანდათან იზრდება ეს ქალაქი. სოხუმს ირგვლივ დასავლეთ ჩრდილოეთისაკენ და ჩრდილო აღმოსავლეთისაკენ გორებზე გაშენებულია მშვენიერი საზაფხულო სადგომები და ბაღები. შიგ ქალაქში არის საბატანიკო ბაღი გარშემო ხომ ყოველივე აჰყვავებული, რა გინდა სულო და გულო, რომ აქ არ იყოს: მრავალი სხვა-და-სხვა გვარი ყვავილი, მცენარენი თბილს ქვეყნებისა, ზოგი მოტანილი შორიდამ და ზოგი აქვე ადგილობრივ ნახარები, რომელიც მუდამ ამწვანებულია და თითქმის ზამთარ-ზაფხულს ყვავის. აქ იშვიათია იმისთანა ხალხი, რომელსაც ეზო არ ჰქონდეს და ამ ეზოში ზამთარ ზაფხულ არ ჰყვავოდეს ვარდები. ბევრგან არის ლიმონისა და ფორთოქლის ხეები, მრავალ გვარი ივკოლიპტები და სხვა ამის მზგავსი ხეები.

პირველ დღეს ჩვენ წავედით ტაინი სოვეტნიკი ბ-ნ ტატარინოვის საზაფხულო სადგომის სანახავად- ამ კაცს თავი დაუნებებია და ეს რამდენიმე წელიწადია გადმოსახლებულია სოხუმში. ტატარინოვს მშვენივრად სცოდნია ბოტანიკა და შეუსწავლია ჩვენის ქვეყნის ნიადაგი, ჰაერი და სხვ. გაუშენებია ბაღი თითქმის ყოველ გვარ მცენარესი ცხელ ქვეყნებიდან გადმოტანილისა. ამას აქვს რამდენიმე ხეივანი სხვადასხვა გვარის ფორთოქლებისა, რომელიც მშვენიერად ხარობს და ისხამს კარგად. ბ-ნ ტატარინოვის შრომა იმდენად თვალ საჩინოა, რომ ადვილად შეუძლია მიხვდეს რა კარგად ითვისებს ჩვენის ქვეყნის ბუნება ცხელ ქვეყნიდან გადმოტანილს სასარგებლო მცენარეობას. ეს ბაღი არის სწორედ მუზეუმი თბილ ქვეყნების მცენარეთა. იმ აღწერაში, რომელიც წარუდგენია ამ საპატიო კაცს სენატორი აბაზასათვის, მის აქ მყოფობის დროს, ყოველ გვარი მცენარეა მოხსენებული ამ ქვეყანასაც რაც თვითონ უხარებია და რაც სხვა ქვეყნებიდამ დაუბარებია და უვარგნია აქ. აღწერაში მოხსენებულია ისიც, თუ რა მცენარე რისთვის არის გამოსადეგი. საინტერესოდ დავინახეს აღწერა და ვსთხოვე ბ-ნს ტატარი-

30 პლატონ იოსელიანი, 31. იოსებ დავითაშვილი, 32. ნიკოლოოზ ბარათაშვილი და 33. ნიკოლოოზ ბარათაშვილი, მამაცაშვილისა.

3., ტფილისის ამხანაგობამ შემოსწირა: თხზულებანი ილ. ჭავჭავაძისა ტომი პირველი და მე III, არაკები საბა ორბელიანისა და წიგნი სიბრძნე-სიცრუისა, მისივე (აგრეთვე სხვა წიგნებიც შემოუწირავს წინა წლებშიაც).

4., ქუთაისის ამხანაგობამ: ვეფხისტყაოსანი, სანებლიძისა, სვანური ზღაპრები, თავისუფალის სვანისა და მწირი, ლერმონტოვისა (თარგმ. გრ. აბაშიძისა).

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება შემდეგშიაც მისცემს ქართველ მოსწავლეს ყოველსავე საშუალებას ჩვენი ლიტერატურის და ისტორიის შესწავლისას.

სერგეი ჯაფარიძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებითგან)

ვენის კორესპონდენტი „Москов. Вѣд“-ისა ამ გაზეთს შემდეგ შესანიშნავს ამბავს აუწყებს:

აქ პოლონელები დიდის საიდუმლოებით აუწყებენ ერთმანერთს, ვითომ ვარშავში დიდი ხანია არსებობს განსაკუთრებული პოლონელთა ფარული კომიტეტი, რომელსაც აზრად აქვს: მოუვა თუ არა ცნობა, რომ ამა თუ იმ ადგილას ძველ პოლონელთა სამეფოში დანიშნული მოხელე რუსი, რომელიც პატიოსნად ასრულებდა თავის მოვალეობას, მტკიცედ ახსოვს თავისნი ვალდებულებანი რუსეთის და რუსთა საერო საქმის წინაშე, არ უვარდება პოლონელებს ხელში, ქრთამებს გაურბისო და სხ., კომიტეტი დაუყოვნებლივ შეუდგება ხოლმე საქმეს და ამ მოხელეს ისევე გადაამწესებინებს რუსეთის შიდა გუბერნიაში.

ამ კომიტეტს დიდი შეძლება აქვს, ქრთამითა და მუქარით ჰმოქმედებს. აი საიდგანა აქვს კომიტეტს შეძლება: ყოველი პოლონელი „შლიახტიჩი“ (კეთილშობილი), რომელსაც მოხელე რუსის თვალყურის გდებისა ეშინიან, ყოველ წლივ ამ კომიტეტში შეაქვს ხუთი თუმანი და ეს ფული უფლებას აძლევს კომიტეტთან მოლაპარაკება იქონიოს მის მიერ მოძულებულ და თვალიდგან ამოღებულ მოხელე რუსის შესახებ.

ქრთამსა და მუქარას გარდა, კომიტეტი დაკავშირეაულია ბევრს ამა ქვეყნის ძლიერთან და ეს გარემოება ძალას აძლევს უმაღლესს მთავრობას თავისი სურვილი აღასრულებინოს. თუ ყოველ ამ საშვალებამაც არ გასჭრა, კომიტეტი ბეზღობასა და სხვა ამისთანა სახსარს მიჰმართავს ხოლმე. ერთის სიტყვით, ასე თუ ისე, კომიტეტი ყოველთვის ახერხებს პოლონეთიდგან განძევებას იმ რუს მოხელისას, რომელიც რუსეთისა და მეფის ერთგულებისაგამო სძულს, და კიდევ კარგი, თუ უბრალო განძევება აკმარა, ხშირად სამართალშიაც-კი მისცემს, ბოროტებას რასმეს მოახვევს ხომე თავზედ და ჰღუპავსო.

ეს დიდად ძნელად დასაჯერებელი ამბავი, იქნება ისეთივე მართალი იყოს, როგორც „Новое Время“-ში ამას წინად დაბეჭდილი გრძელი ეპისტოლე ბათუმის მოხელე ქართველთა შესახებ...

## რუსეთი

—

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ იქმნება განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა კვლავ განიხილოს შთამომავლობით საპატიო მოქალაქეთა წოდებაში ჩარიცხვის წესები.

—

ამ დღეებში ქ. პოლტავაში არაჩვეულებრივმა თავად-აზნაურობის კრებამ სხვათა შორის უნდა განიხილოს „თავად-აზნაურობის ხელში მამულების შესარჩენი საშუალებანი“. ამ მოხსენებაში, სხვათა შორის, საჭიროდ არის დანახული შემდეგი შეღავათი იქმნას მთავრობისაგან მოთხოვნილი თავად-აზნაურთა წოდებისათვის: 1, სავალო შესატანი სათავად-აზნაურო ბანკებიდგან გატანილ სესხისა შემცირდეს 3%-მდე; 2, თავად-აზნაურთ დაფასებულ მამულის ფასის 85% მიეცეს სესხად, ისე-კი, რომ 60%-ის სავალო შესატანი 3% დაეკლოთ, ხოლო დანარჩენ 25% აწინდელივე 5%-იანი შესატანი; 3, შეემციროთ სავალო შესატანი შთამომავლობით თავად-აზნაურთ, საურთიერთო საადგილ-მამულო საკრედიტო საზოგადოების მსესხებელთ და უფლება მიეცეთ, რომ დასაფასებელ ჟამის შესაფერად დანარჩენი, დასამატი სესხი 85%-მდე სათავად-აზნაურო ბანკიდგან გაიტანონ, იმ ანგარიშით-კი, რომ ოქროთი გატანილი ვალი მაზანდით 120 მან. 100-ად ჩაეთვალოთ; 4, ასეთივე შეღავათი მიეცეთ ყველა შთამომავლობით თავად-აზნაურთ, რომელთა მამულებიც ამ ჟამად რომელსამე საადგილ-მამულო ბანკშია დაგირავებული, გადატანილ იქმნას რა ეს მამულები კერძო ბანკებიდგან სათავად-აზნაურო ბანკში; 5, საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებულ მამულების ყიდვის მაგიერ, ამ მამულებზედ მზრუნველნი დაინიშნონ იმ დრომდე, ვიდრე სავსებით იქნება აღებული ბანკის საკუთვნო შესატანი; 6, რაც-კი მოძრავი ქონება და მამულის შესამუშავებლად საჭირო იარაღია სათავად-აზნაურო ბანკში დაგირავებული, იგი არ იყიდებოდეს ხოლმე, როდესაც მამულის პატრონს კერძო ვალისათვის ქონებას აუწერენ.

—

პეტერბურგის პრაქტიკულ ცოდნათა გამავრცელებელი საზოგადოება ჰმართავს საპედაგოგიო საგიმნასტიკოებს, რომელშიაც ქალებს, სხვათა შორის, ასწავლიან მოკლედ თეორიულად ანატომიასა, ფიზიოლოგიასა და ჰიგიენას.

—

ამ გაზაფხულზედ კომისია იქნება შედგენილი შინაგან საქმეთე და ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენელთაგან, რომელსაც მიენდობა განხილვა და შემუშავება ხელოსანთა წოდებაში ცვლილებათა შემოსაღებ პროექტისა. შინაგან საქმეთა სამინისტროს უკვე მისვლია ყოველ გუბერნიიდგან ცნობები იმა გუბერნიათა სახელოსნო წოდების შესახებ.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** ხმა თანდათან უფრო ვრცელდებოდა იმის შესახებ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს სამართალში მისცეს კლემანსო ზღვათა უწყებაში მომხდარ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ საბუთის ქაღალდების დაბეჭდვისათვის, ვიდრე ეს ხმა ოფიციალურად არ იქმნა უარ-ყოფილი. კლემანსოს წერილები დიდს შიშს უქადის თვით მთავრობასა და ზღვათა უწყების მმართველთ და, რაღა თქმა უნდა, ესენი კლემანსოს წინააღმდეგაც იხმარებენ რაიმე საშუალებას. ზღვათა სამინისტრო გაფაცცებით ეძებს დამნაშავეს, ვისაც კლემანსოსათვის ზემოხსენებული საბუთის ქაღალდები მიუტანია. კლემანსოსასაც-კი წაატანდნენ ხელს, მაგრამ ამ ნიჭიერს ჟურნალისტს არა ერთხელ დაუმტკიცებია თავისის მოწინააღმდეგებისათვის, რომ იმასთან ხუმრობა აგრე ადვილი არ არის. ლაპარაკობენ, რომ რა-კი კლემანსომ ზღვათა სამინისტროს წინააღმდეგ გაილაშქრა, ალბად საბუთის ქაღალდებით იქნება შეიარაღებულიო. თვით ეს გალაშქრებაც ისე ხერხიანად და მართებულადა აქვს მოწყობილი კლემანსოს, რომ საზოგადოება უკვე იმისაკენ არის. თვით ზღვათა უწყებაში მოსამსახურენიც-კი იმას ემხრობიან. რასაკვირველია, ამათ უკეთ ეცოდინებათ ყოველი ნაკლი თავიანთის უწყებისა და აგრეთვე ამ უწყებაში მომხდარი ბოროტ-მოქმედებანი. ბევრნი მათგანნი-კი თვით კლემანსოსავე აძლევენ ხელთ საბუთს და ეხმარებიან.

—

**ინგლისი.** საზოგადოებათა პალატის მოწინააღმდეგე დასის მეთაურმა ბალფურმა შეადგინა პროექტი იმპერიის საეროვნო მოგერების განსაკუთრებულ საბჭოსი. ამის შესახებ ერთს ჟურნალისტს ლაპარაკი ჰქონია მწერალ ლორდ რობერტსთან, ინდოეთის ჯარების მთავარ-სარდლად ნამყოფთან. რობერტსს უთქვამს, რომ ბალფურის წინადადება მე ძალიან მომწონს; ასეთი საბჭო პასუხისმგებელი იქნება ერის წინაშე, უზრუნველსა ჰყოფს ერთიანობას და სიმტკიცეს საეროვნო მოგერების პოლიტიკისას, ვინაიდგან ეს პოლიტიკა დამოკიდებული აღარ იქმნება სამინისტროთა შეცვლისაგანაო.

## გასართობი

—

ერთხელ მირონი სანადიროდ ემზადებოდა და თავისს ხუმარას უბრძანა, უეჭველად შვიდს საათზედ გამაღვიძეო. ხუმარამ ექვს საათზედ გააღვიძა და უთხრა:

— თქვენო ბრწყინვალებავ, ჩქარა გამოიღვიძეთ, თორემ ერთი საათი-ღა დაგრჩენიათ ძილი, შვიდზედ უნდა გამოგაღვიძოთო.

**

ერთი სოფლელი კაცი ჩამოვიდა და დაუწყო დუქნებს თვალიერება. ბოლოს შედგა ზარაფის დუქანთან, გაოცებით დაუწყო თვალიერება და ვერ მიმხვდარიყო, რა დუქანია ეს დუქანიო. მივიდა და ჰკითხა ზრდილობიანად:

— თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, რასა ჰყიდით?

ზარაფი მიხვდა იმის სიხამეს და სოფლელს სასაცილოდ ასაგდებად უპასუხა:

— ვირის თავებსაო.

სოფლიდგან ჩამოსული მიუხვდა დაცინვას, დუქანს თვალი გადაავლო და სთქვა:

— გეტყობათ კარგი ვაჭრობა გქონიათ და დიდი მუშტარი გყოლიათ, რომ სულ დაგიყიდნიათ და ერთის ვირის თავის მეტი აღარ დაგრჩენიათო.

**

ერთმა აკვნების მკეთებელმა ხარატმა მხატვარს აკვანი დაახატვინა, რომელშიაც ყმაწვილი იწვა, და ქვეშ შემდეგი წარწერა გააკეთებინა: „ოსტატი ამა საქმეთაო“.

### გამოსადეგი ცნობა

—

ფქვნილი შაქარი ყოველთვის სჯობია, შინ მომზადდეს, რადგანაც ნასყიდში ძალიან ხშირად ურევია სახამებელი, ფქვილი და ხანდახან ორივ ერთად. შეტყობა, ურევია თუ არა შაქარში ერ-

---

ნოვს მოეცა ჩემთვის ის აღწერა, მან მომცა თავისივე ნაწერი რუსულად, რომელიც იწყება ასე: მოკლე განხილვა მცენარეთა სამეურნეო კულტურისა შავის ზღვის კიდეებზე კავკასიაში (ნოვოროსიისკიდან სათათრეთის საზღვრამდე.)

შემდეგ ამისა დავათვალიერეთ მისის უმაღლესობის დიდის მთავრის ვედენსკის მიერ გაშენებული ბაღი, იქაც თითქმის ისეთივე მცენარენი ვნახეთ, რაც ზემოდ მოვიხსენეთ. აქედან წავედით საბოტანიკო ბაღში. ამ ბაღშიაც მრავალ გვარი მცენარეა, მათ შორის სამოც-და-ათ ძირამდის ზეთისხილის ხეა, აგრეთვე ორი ძირი კარგა ხნის ჩაის დიდი ბუჩქი ოთხ-არშინის სიმაღლისა. ეს ჩაი უნდა იყოს დარგული 1835 წ. თუმცა-ღა უკანასკნელ ამიანობის დროს გადუჭრიათ, მაგრამ ისევ ამოხეთქია ყლორტები და გაზდილა, ძალიან კარგად ხარობს, ამ ჩაის ბუჩქის თესლით უხარებიათ ბევრგან, სხვაგანაც დააქვთ გასასყიდად. ამ ბაღიდან ბევრს გაუტანია აქაური ჩაი და, სადაც ვნახეთ სოხუმში, ყველგან კარგათ ჰხარობს. როგორც ბ-ნმა ვ. ლინძენმა გვითხრა, ეს ჩაი უნდა იყოს ტიაბოლეია. უწინდელმა გამგემ ამ საბატანიკო ბაღისამ მალონიამ, გვიამბო ამ ბუჩქებზედ მოვკრიფეთ ახლად გაშლილი ფოთლები, გავახმეთ და თ. დუნდუკოვ-კორსაკოვს მივართვითო; ამ ჩაის ყოველ სხვა ჩაის ღირსებასთან, რომლითაც შესანიშნავია ეს ჩაი ესე ეგი სურნელებასა და ფერთან გემო აკლდაო და რაღაც მჟავის გემო ეტყობოდაო, რასაკვირველია, ეს მიეწერება ფოთლის მომზადების უცოდინარობას. ბ-ნმა კლინგენმა აუხსნა კიდეც ეს გარემოება და შემდეგისათვის მისცა დარიგება, როგორ უნდა მოიქცნენ, რომ ჩაის ფოთოლი მოამზადონ დასალევად.

გარდა ამ ბაღისა ვინახულეთ სხვაც ბევრი და მივიწვიეთ რამდენიმე მცოდნე კაცები აქაურები, რომელთაც სიყრმითვე უცხოვრნიათ სააფხაზოში და ყოველი სააფხაზოს ამბავი იციან, რაც-კი ამ სამოცი წლის განმავლობაში მომხდარა. ერთმა მათგანმა აზნაურმა პეტრე ბარკალაიამ დაგვისახელა მრავალი კუთხე სააფხაზოსი, სადაც ცხოვრობდნენ აქაური თავად-აზნაურნი და მისდევდნენ ხეხილის გაშენებას, ვენახების შემუშავებას და სხვა კულტურას. ამისთანა ადგილები და ნაშთი ამ კულტურისა იპოვება ეხლაცაო. მცოდნე კაცებს ბ-ნმა კლინგენმა თითოეულად გამოჰკითხა ყოველ ბუნებრივ მოვლენის შესახებ. ყველანი თითქმის ერთ ხმად ამტკიცებდნენ, რომ მიზეზი ყოველის გვარის ჭირნახულის, ხეხილის და ვაზის ავადმყოფობისა ტყეების გაკაფვა უნდა იყოსო. აქამდე სააფხაზომ არ იცოდა, რა იყო ქარიო და ეხლა-კი გავიგეთ, რაც არის ქარი; დაჰბერავს ეს ქარი ჭაობიან ადგილებიდგან გზაში საფარი არსად ხვდება და ყოველგვარი ავადმყოფობაც თან მოაქვს. მაგალითებრ, ჩვენ არ ვიცოდით, რა იყო ნაცარიო, მაგრამ ყირიმის ომის დროს ჯარის გასავლელად გაიკაფა მრავალი ტყეები და შემდეგ წლებში ამ ვაზის სენმაც იჩინა თავიო; მას შემდეგ კიდევ გაიკაფა მრავალი ტყე ფოთიდან დაწყებულნი, ჭურია, ნაბადა, ქალადიდი, ხორგა, განარჯიის მუხური, დაგინძე ეწერი, რომელშიაც—ბევრი იყო ასის წლის მუხები და სხვა მაგარის გვარის ხეები. შემდეგ ამისა თანდათან იმატა ქარმა და მას მოჰყვა ათას ნაირი მავნებელი სენი. ის ავადმყოფობა, რომელსაც ეძახიან ახლა მილდიუს, გაუჩნდა ახლა სააფხაზოშიაც, ათარას, კაჭიჭის და ამილახოს ვაზებს, რომელთაც ფოთოლი უდროვოდ დასცვინდა, ყურძენი არ დამწიფდა და წახდაო; ორის წლის შემდეგ ეს სენი ისევ მოისპო და დღეს აღარ არის. რაც შეეხება ყურძნის ნაცარს, სთქვა მან, როცა მე პატარა ვიყავი, ხშირად ვმწყევსამდი საქონელ.ს. ბავშვებს გვქონდა აჩენილი ტყეში რამდენიმე ძირი გარეულის ვაზისა და რადგან ყველა ყურძენზედ გარეული ყურძენი უფრო ადრე მწიფდება, იმ ვენახებში მივეშურებოდით, გავდიოდით ხეებზედ და ვსჭამდით. გაიარა მას შემდეგ რამდენიმე წელმა და ჩემი გარეული ვაზი მომაგონდა, გავიქეცი, ვნახე კარგად მოსხმული და მწიფე იყო ყურძენი, მაგრამ, როცა ავედი, ზედა მხარეს ყურძნის კოპლისას რაღაც მტვერივით გადასცვენოდა და ქვეშ შავად იყო. ყურძენი გადავსწმინდე და, რომ შევსჭამე, იმისთანა გემრიელი აღარ იყო, როგორც წინად, ძალიან მოწყენილი ჩამოვედი ძირს. სახე, ყურები და თმა მტვერით მქონდა გადღურჯებული. მეორე წელიწადს, სწორედ იმ დროს, ისევ ვნახე ჩემი საყვარელი ვაზი; ამ წელს სრულიად გამხმარიყო და ყურძენიც ვერ ვიგემე. შემდეგ რამდენისამე წლის უკან, როცა ასეთივე ყურძენი ვნახე შინაურს ვაზებზედ, მომაგონდა ჩემი ძველი ნაცნობი ვაზი და სწორედ ის უნდა ყოფილიყო დაწყება ნაცრისა.

ყველა ამ ლაპარაკს, მოხუცის კაცებისას ბ-ნი კლინგენი თითოეულად იკვლევდა და თითოეულს წვრილმან ჩვენებებსაც დიდს ყურადღებას აქცევდა.

ასე დაწვრილებით გაცნობა და შესწავლა ქვეყნისა, მასთან გამოკვლევა ყოველ გვარის ძველისა თუ ახლის მეურნეობისა, როგორც ბ-ნმა კლინგენმა ინება, იშვიათია ჩვენში. მგონია, რომ არც ჩვენი სამეურნეო საზოგადოება იზამს ურიგოს მიაქცევდეს ამ გარემოებას ყურადღებას და დააწესებდეს კერძო კომისიას, რომელიც ყოველ წლივ კავკასიის სხვადა-სხვა მხარეში წავიდეს ხოლმე და ადგილობრივ დაათვალიერებდეს, რას აკეთებს ხალხი, რას აწარმოებს, რას მეურნეობს, ან როგორ, რა იარაღით და სხ. ასეთი სიარული მცოდნე კაცებისა, ვგონებ, მცირედს სარგებლობას არ მოუტანს ჯერ ქვეყნის შესწავლის საქმეს ეკონომიურად და მერე იქნება თვით მუშა-ხალხმაც გაიგოს რამე მცოდნეთა დარიგებით.

სუხუმს ხუთ დღეს მოვუნდით დასათვალიერებლად. მე გამოვეთხოვე ჩემს მგზავრებს და ისინი-კი წავიდნენ წებელდას. ასე გათავდა ჩვენი მგზავრობა და მიმოსვლა სამეგრელო-აფხაზეთის მეურნეობისა და სხვადა-სხვა მცენარეობის კულტურისა.

გიორგი ჩიჩუა

თი ან მეორე, ადვილია: აიღეთ ერთი ნაწილი შაქარი და ოთხი ნაწილი წყალი, ამ წყალში ჩაჰყარეთ ეს შაქარი. თუ შაქარში არა ურევია-რა, წყალი სუფთად დარჩება, თუ არა და აიმღვრევა და შიგ აშკარად დაინახავთ პატარ-პატარა თითქო შედედებულ ნაჭრებს.

# დეპეშა

24 იანვარი

**პარიჟი.** ვალიანი, დღეს დილით დასაჯეს; არავითარი შესამჩნევი ამბავი არა მომხდარა-რა. ვალიანის დასჯის ამბავი მხოლოდ გუშინ საღამოზედ ძალიან გვიან გავრცელდა, ასე რომ „შუშხუნის“ მოედანზედ ხალხი ცოტა შეიკრიბა. მოედანს გარს ერტყა 4 როტა ქვეითი ჯარი, 1 ესკადრონი ცხენოსან ჯარისა და 500 პოლიციელი. ჯალათის დეიბლერის თხოვნით, ლობე, რომელიც გილიოტინას ერტყა, გააფართოვეს. ხმა დადის, ვითომ კარნომ რამდენიმე მუქარის წერილი მიიღოო.

პეტერბურგის ბირჟა, 21 იანვარი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,39 | 7,42 | — „ |
| ზამთრის კუპონები . | 147¾ | 148½ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 242 |
| —მეორისა . . . . | | — „ | 225,75 |
| 5% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 190¾ |
| ირაჟნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | 100,75 | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | 98¼ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 100,75 | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | 98¼ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | — „ | — „ |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

**ტფილისსა და განჯას შუა.**

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ.

ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ**

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

# განცხადებანი


ბალახეულის კარამელი

ხველების წამალი

„ბექერ ბონს“

ბ. სუმადენისა, კიევში

უმთავრესი საწყობი Александра Венцель, С.-Петербургъ, Гороховая, № 33. იყიდება რუსეთის ყველა აფთიაქებში და აფთიაქების მაღაზიებში.

ფასი რკინის კოლოფისა 25 კაპ.

М. (20—12)




ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ
ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО
и
ВСЕВОЗМОЖНЫЕ БЛАГОВОННЫЕ
и
КОСМЕТИЧЕСКІЕ ТОВАРЫ
ФАБРИКИ
БРОКАРЪ и К°
можно получать во всѣхъ лучшихъ магазинахъ
РОССІЙСКОЙ ИМПЕРІИ.

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—152)




ტფილისში ა. არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობის“ საწყობში.


„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| სიბრძნე-სიცრუის წიგნი ს. ორბელიანისა. . . . | „ | 50 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა ალ. ორბელიანისა . | „ | 40 |
| გმირისეულის ქალი, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მეველე, მისივე. . . . | „ | 10 |
| თავადი იერონიმე, მისივე. | „ | 10 |
| მთიული სოსე, მისივე . . | „ | 10 |
| ქრისტინე, ე. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| რავდენიმე მოთხრობა მისივე. . . . . . . | „ | 50 |
| ოტელო, დრამა შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბელისა. . . . . . . | „ | 50 |
| ქართული გრამატიკა ი. ქორდანიასი . . . . | „ | 55 |
| ლექსები გრ. ორბელიანისა | „ | 50 |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |

# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 | თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | „ . . . . | 9 „ 50„ | 5 | „ . . . . | 5 „ 50„ |
| 10 | „ . . . . | 8 „ 75„ | 4 | „ . . . . | 4 „ 75„ |
| 9 | „ . . . . | 8 „ —„ | 3 | „ . . . . | 3 „ 50„ |
| 8 | „ . . . . | 7 „ 25„ | 2 | „ . . . . | 2 „ 75„ |
| 7 | „ . . . . | 6 „ 50„ | 1 | „ . . . . | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შეკოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.


სასაპარელო ესსენცია კოლბერისა

(Essence de Salsepareille Colbert)

საუკეთესო წამალი სისხლის დასაწმენდად

იარლიყზე უნდა იყოს ამომჯდარ ასოებით წითლად დაბეჭდილი

რუსეთის ყველა საუკეთესო აფთიაქებში იყიდება, ხოლო პარიჟში Ph-cie Rogé, 9, rue du guatre Septembre.



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ
10, рота, 16.



VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკორი ბენიდიქტნი

Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)

საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უპელაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A Legrand ainé

ყოველთვის მოითხოვეთ, რო, ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდე დაკრული ბოთლს ქვემოდგან უფროსის დირექტორის მიერ ელ-მოწერილი.

ისყიდება საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში და ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.


Доз. ценз. Тифлисъ, 25-го Января 1894 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე